გორის მუნიციპალიტეტის მერის

KA990106962593618

ბრძანება № 3322-ს

14 / ივნისი / 2018 წ.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ

სამოქალაქო ბიუჯეტი დემოკრატიის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია - საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითების გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. ამის საშუალებას იძლევა სამოქალაქო ბიუჯეტი.

სამოქალაქო ბიუჯეტი – არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში. მოქალაქეთა ბიუჯეტის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ თუ რაში დაიხარჯება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები (ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, ან კულტურული, სოციალური, სპორტული და სხვ.), ანუ თავად დაგეგმონ პროექტები მომავალი წლის ბიუჯეტში და თვალყური ადევნონ მის განვითარებას.

ზემაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამა და სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განაცხადის ფორმა რათა გორის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს საშუალება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში .

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ქვეპუნქტის, 85-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების, გორის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 მაისის N2954-ს ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 24 მაისის რეკომანდაციის საფუძველზე ვბრძანებ:

1.დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამა“ დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს „ სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განაცხადის ფორმა „ დანართი N2-ის შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი , ქ. გორი , ჯორბენაძის ქ. N30)

გორის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე თავზარაშვილი